

ცვლილება შეტანილია

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის  
სამეურვეო საბჭოს 2018 წლის 01 მაისი N15 ოქმით

✓ ე. ჯიქოსი

**სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის  
შინაგანაწესში შესული ცვლილება**

#### მუხლი 42. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა

1. სკოლაში პირველ კლასში ბავშვები ჩარიცხებიან კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკიდან.
2. პირველ კლასში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
  - ა) განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
  - ბ) მოსწავლის ფოტოსურათი (3X4);
  - გ) დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
  - დ) მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;
  - ე) იძულებით გადაადგილებული პირის (დევენილის) მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
  - ვ) სოციალურად დაუცველის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
  - ზ) შშმ პირის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.
4. სკოლაში მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვისას იხსნება მოსწავლის პირადი საქმე.
5. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის“ შესაბამისად, მოსწავლის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:
  - ა) განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
  - ბ) მოსწავლის პირადი საქმე/წინამდებარე კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - გ) მიმდინარე შეფასება (სასწავლო წლის განმავლობაში მობილობის დროს);
  - დ) ცნობა საგნების მიხედვით გაცდენილი საათების შესახებ (სასწავლო წლის განმავლობაში მობილობის დროს) (VII-XII კლასის შემთხვევაში);
  - ე) დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
  - ვ) მშობლების პირადობის მოწმობების ასლები;
  - ზ) სსსმ მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში, აუცილებელია ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები და ჯანმრთელობის ცნობა.
6. პირველკლასელთა პარალელურ კლასებში განაწილება ხდება შემთხვევით შერჩევის პრინციპის მეშვეობით.
7. მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. მოსწავლეს შეიძლება უარი ეთქვას სკოლაში ჩარიცხვაზე, თუ შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა ადგილების კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას.
9. სკოლა უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე ვერ დააკმაყოფილებს სკოლის მიერ დადგენილ მოთხოვნებს სკოლა უფლებამოსილია უარი უთხრას მობილობის მსურველს სკოლაში ჩარიცხვაზე.
10. დასაშვებია მოსწავლის პარალელურ კლასში გადასვლა. ამ საკითხს მშობლის განცხადების საფუძველზე წყვეტს სკოლის დირექტორი.